27/12/2019

გალობის უნივერსტიტეტის ღონისძიებები გერმანიასა და იტალიაში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაფუძნებულმა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტმა გერმანიასა და იტალიაში საზეიმო ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.

ა.წ. 13 დეკემბერს შტუტგარტის სახელმწიფო თეატრში გამართულ ქართული კულტურის კონცერტში ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებამ, ფოლკლორის, ცეკვისა და თანამედროვე ინსტრუმენტულ-ვოკალურ ჟანრთა საუკეთესო სინთეზით წარმოადგინა.

გალობის უნივერსიტეტის გუნდის გარდა ამ კონცერტში მონაწილეობდნენ: ქართული ცეკვის ანსამბლი “ლაზი” (პარიზი), GeoTRAIN (Jazz ensemble) და „The Voice of Germany“-ს გამარჯვებული ნათია თოდუა.

17-19 დეკემბერს დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით ქალაქ ბარის წმინდა ნიკოლოზის ქართულ სამრევლოში იტალიის ქართული სამრევლოების მღვდელმსახურთა მიერ სადღესასწაულო მსახურებები აღევლინა და გაიმართა ტრადიციული სიმღერა-გალობის კონცერტი, რომელშიც ბარის

სამრევლოსთან არსებული გუნდი და გალობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საღამო ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერით ჩატარდა.

ქართული ტრადიციული მუსიკის ხელშეწყობისთვის ფონდის მადლიერების სიგელი და ჯილდო გადაეცათ ბარის წმინდა ნიკოლოზის ქართულ სამრევლოს წინამძღვარს, არქიმანდრიტ მოსეს (ჭანკვეტაძე) და ფლორენციის წმინდა ნინოს ქართული სამრევლოს წინამძღვარს, არქიმანდრიტ ანდრიას (ლაცაბიძე).

ფონდი ქართველი ემიგრანტებისათვის სოციალურ პროექტებს (ქართული სიმღერა-

რციელებს

ნი, გენტი).

NOTRE DAME

patriarchate.ge